

29 Dec 2009

საქართველოს გარემოს დაცვისა და  
ბუნებრივი რესურსების მინისტრს  
ბატონ გოგა ხაჩიძეს,

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას",  
ბატონ დავით ჭიპაშვილს,

"საქართველოს მწვანეთა მოძრაობას" თავჯდომარეს,  
ქალბატონ ნინო ჩხოზაძეს

მოქალაქე ვაჟა ბესელიას, მცხოვრები ქ.თბილისის  
ავჭალის დასახლება სალხინოს ქ.№73  
(ტელ: 376861, მობ: 893 571662)

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონებო,

მოგახსენებთ, რომ 2009 წლის 10 დეკემბერს ავჭალის მოსახლეობის სახელით, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის სახელზე ჩემს მიერ შეტანილ იქნა განცხადება №976, რომელშიაც ვიუწყებოდით, რომ ავჭალის მონაკვეთზე შემოვლითი რკინიგზის გაყვანა 1,5 კმ-ის სიგრძეზე გათვალისწინებული იყო ღია წესით 18-20 მეტრიან მიწაყრილით, რის შეცვლაც მოვითხოვეთ გვირაბის გაყვანის მეშვეობით, რაზედაც რკინიგზის დეპარტამენტს შევთავაზე ჩვენი ალტერნატივა და შევადგინე შესაბამისი სქემატური გეგმა.

ჩვენი შემოთავაზებული სქემატური გეგმა განხილულ იქნა ჩემი თანდასწერბით რკინიგზის დეპარტამენტის უფროსთან ბატონ ერეკლე ეზუგბაიასთან, სადაც კომპეტენტურმა სპეციალისტებმა დეტალურად აგვიხსნეს ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის ტექნიკურ - ეკონომიკური მდგომარეობა, რის შემდეგაც დავეთანხმე მათ არგუმენტებს. აქედან გამომდინარე, ჩემს მიერ გაკეთებულ ტექნიკურ დასკვნაზე დაყრდნობა მცდარი იქნება, და შესაბამისად, გთხოვთ, იგი არ იქნას გამოყენებული შემდგომში რაიმე სახის დოკუმენტად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, რეაგირების გარეშე დატოვოთ ჩემი 2009 წლის 10 დეკემბერს შემოტანილი განცხადება №976 და დამიბრუნოთ იგი თანდართულ საბუთებთან ერთად.

ზემოაღნიშნული განცხადება თანაბრად ეხება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" და "საქართველოს მწვანეთა მოძრაობას"

პატივისცემით,  
ვაჟა ბესელია



თბილისი, 28/12/2009

10-05